# ნეკროპოლიური ლანდშაფტის სივრცული და ქრონოლოგიური უწყვეტობა შავი ზღვის ურბანულ სივრცეში — გონიო–აფსაროსის მაგალითზე

**ალექსანდრე რუსეცკი** - ფსიქოლოგიის დოქტორი (2019); პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი (2023); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროგრამის დოქტორანტი; მშვიდობის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეტაკოგნიტიური არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძრვანელი.

თბილისი, კიკეთის ქუჩა N13, +955555122375; alex_scirs@yahoo.com ; ORCID: https://orcid.org/0000-0003-2646-1625 .

## აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ სივრცეში დაკრძალვითი პრაქტიკების სისტემურ გააზრებას და „ნეკროპოლიური ლანდშაფტის“ - ცალკეულ სამაროვანთა ერთობლიობის მოდელირების პერსპექტივას. ნეკროპოლიური ლანდშაფტი მოიცავს როგორც არქეოლოგიურად დადასტურებულ, ასევე ჰიპოთეტურ, ნარატიულ და დღესაც მოქმედ დაკრძალვით სივრცეებს, რომლებიც ერთიან სისტემაში ასახავენ ტერიტორიის ქრონოლოგიურ სიღრმესა და კულტურულ უწყვეტობას. სტატიაში ნაჩვენებია, რომ გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტი წარმოადგენს ამ უნიკალური ნაკრძალის მეტალანდშაფტის განუყოფელ, არა პერიფერიულ, არამედ ცენტრალურ კომპონენტს ამ ტერიტორიის ისტორიული და კულტურული დინამიკის გასააზრებლად და ქმნის როგორც არქეოლოგიური ინტერპრეტაციის, ისე მემკვიდრეობის დაცვისა და პრევენტიული კვლევების განვითარების საფუძველს. კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი „მეტაკოგნიტიური არქეოლოგია: გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული სივრცის განვითარების გამოუყენებელი შესაძლებლობები და სტრატეგიული პერსპექტივები“ პროექტის ფარგლებში. კვლევა განეკუთვნება მეტაკოგნიტიური არქეოლოგიის მიმდინარეობას, რომელიც ახდენს სხვადასხვა ტიპის არქეოლოგიური მიმართულებების ინტეგრირებას ერთიანი პლატფორმის გარაშემო.

**საკვანძო სიტყვები:** შავი ზღვა; გონიო-აფსაროსი; ლანდშაფტური არქეოლოგია; ნეკროპოლიური ლანდშაფტი; კულტურული მეხსიერება; ჰაგიოგრაფია

# Spatial and Chronological Continuity of the Necropolis Landscape System in the Black Sea Urban Space: The Case of Gonio–Apsaros

**Rusetsky Alexander** is a Doctor of Psychology (2019) and a Doctor of Political Science (2023), and a PhD candidate in Archaeology at Georgian Technical University. He is the Head of the Metacognitive Archaeology Laboratory at the International University of Peace.
ORCID: https://orcid.org/0000-0003-2646-1625

**Abstract**

This article is devoted to a systematic interpretation of burial practices within the archaeological space of Gonio–Apsaros and to the conceptual modeling of the "necropolis landscape" as an integrated system of individual burial sites. The necropolis landscape encompasses both archaeologically attested and hypothetical, narrative, and still-active burial spaces, which together reflect the chronological depth and cultural continuity of the territory within a unified framework. The study demonstrates that the necropolis landscape of Gonio–Apsaros constitutes an integral and central—not peripheral—component of the metalandscape of this unique reserve, essential for understanding its historical and cultural dynamics. In this perspective, the necropolis landscape serves as a foundation for archaeological interpretation as well as for heritage protection strategies and the development of preventive research approaches. The research was conducted within the framework of the project *"Metacognitive Archaeology: Unused Opportunities and Strategic Perspectives for the Development of the Archaeological–Architectural Space of Gonio–Apsaros"*, supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. The study is situated within the field of metacognitive archaeology, which integrates diverse archaeological approaches within a unified conceptual platform.

**Keywords**: Black Sea; Gonio–Apsaros; landscape archaeology; necropolis landscape; cultural memory; hagiography.

## შესავალი

დაკრძალვითი პრაქტიკები ყველა ეპოქის საზოგადოებების სოციალური ორგანიზაციის, საკრალური წარმოდგენებისა და კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთ ყველაზე მდგრად კომპოზიტს წარმოადგენს.[1] დაკრძალვა არ არის მხოლოდ ბიოლოგიური სიკვდილის რიტუალური რეგულაციის კულტურა; იგი ასახავს საზოგადოებრივი იდენტობის, სოციალური იერარქიისა და სიმბოლური

[1] Paul Connerton, How Societies Remember (Cambridge: Cambridge University Press, 1989).

კომუნიკაციის მექანიზმებს. თანამედროვე თეორიულმა განვითარებამ აჩვენა, რომ დაკრძალვითი სივრცეები აქტიურად მონაწილეობდნენ ურბანული, სოციალური და სიმბოლური ლანდშაფტის ფორმირებაში და ხშირად განსაზღვრავდნენ კონკრეტული ტერიტორიების ხანგრძლივ კულტურულ ტრაექტორიას.[2] ამ კონტექსტში, პრეისტორიული ხანიდან დღემდე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გონიო–აფსაროსი — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე მრავალფენოვანი არქეოლოგიური სივრცე, რომელიც აერთიანებს კოლხური, რომაული, ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების კულტურულ ფენებს. გონიო–აფსაროსი ტრადიციულად აღიქმება როგორც სამხედრო-არქიტექტურული ტიპის ძეგლი. სამწუხაროდ, მისი მიმდებარე დაკრძალვითი სივრცეები დღემდე არასაკმარისად არის გააზრებული როგორც ერთიანი ისტორიულ-ლანდშაფტური სისტემა. თანამედროვე არქეოლოგიაში დაკრძალვითი პრაქტიკების კვლევა ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი მიმართულება — funerary archaeology, რომელიც სწავლობს საფლავებს, დაკრძალვის რიტუალებსა და მათ სოციალურ კონტექსტს.[3] ბოლო ათწლეულებში აღნიშნული მიდგომა ინტეგრირდა ლანდშაფტურ არქეოლოგიაში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა funerary landscape archaeology, სადაც ნეკროპოლისი განიხილება როგორც სივრცითი, ქრონოლოგიური და სიმბოლური სისტემა, რომელიც სცილდება ცალკეული საფლავების აღწერას.[4] მიუხედავად ამ თეორიული პროგრესისა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლხეთის სივრცის ნეკროპოლისები კვლავ განიხილება ფრაგმენტულად და არა სისტემურად. გონიო–აფსაროსის შემთხვევაში ფაქტობრივი და ვირტუალური სამაროვანთა ერთიანი სისტემის რუკა დღემდე არ არსებობს. ამასთანავე, ლეგენდარული, ჰაგიოგრაფიული და ტექსტუალურად დადასტურებული ვირტუალური დაკრძალვითი სივრცეები არქეოლოგიურად ჯერ არ არის აღმოჩენილი. მაგრამ ეს სამარხები — წარმოადგენენ ნეკროპოლიური ლანდშაფტის სტრუქტურულად მნიშვნელოვან კომპონენტს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეფისწულ აფსირტეს, იესოს მოციქულის — მათათას, აგრეთვე წმინდა ფირმოსისა და ფირმინეს დღემდე არმონახული საფლავები, რომლებიც ადგილობრივ ტრადიციასა და წერილობით წყაროებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ.

აფსირტეს ჰიპოთეტური საფლავის ლოკალიზაცია განსაკუთრებით საინტერესოა მისი შესაძლო კავშირების გამო ისეთ არქიტექტურულ და რიტუალურ კომპლექსებთან, როგორიცაა იპოდრომი, თეატრი და არტემიდეს ტაძარი[5]. ანტიკური ტრადიციის

[2] Jan Assmann, Cultural Memory and Early Civilization: Writing, Remembrance, and Political Imagination (Cambridge: Cambridge University Press, 2011).
[3] Howard Williams, “Death, Memory and Time: A Consideration of Mortuary Rituals as Cultural Practices,” Archaeological Dialogues 13, no. 1 (2006): 1–20.
[4] Christopher Tilley, A Phenomenology of Landscape: Places, Paths and Monuments (Oxford: Berg, 1994).

[5] Rusetsky Alexander, “Gonio–Apsaros Necropolian Landscape: Conceptual Framework,” *Pro Georgia: Journal of Kartvelological Studies* 35 (2025).

მიხედვით, სწორედ ამ სივრცეებთან არის დაკავშირებული აფსირტეს მკვლელობის ნარატივი, რაც დაკრძალვით ლანდშაფტს დამატებით მისტერიულ-რიტუალურ განზომილებას ანიჭებს. ტერმინი „ნეკროპოლიური ლანდშაფტი“ აღნიშნავს არა მხოლოდ არქეოლოგიურად დადასტურებულ ნეკროპოლისთა ერთობლიობას, არამედ იმ სივრცით-სოციალურ სისტემას, სადაც დაკრძალვა ფუნქციონირებს როგორც გრძელვადიანი სოციალური, საკრალური და მეხსიერებითი პრაქტიკა. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა დაკრძალვითი სივრცეები განიხილებოდეს როგორც აქტიური აგენტები ისტორიული პროცესების ფორმირებაში და არა როგორც პასიური არქეოლოგიური ობიექტები.

წინამდებარე კვლევის ამოცანაა - შემდეგი კვლევითი პროცესების ხელშეწყობა:

- გონიო–აფსაროსის კულტურული მემკვიდრეობის (არსებული ნაკრძალისაგან განსხვავებული) რეალური საზღვრების განსაზღვრა;
- არსებული დაკრძალვითი პრაქტიკების ქრონოლოგიური სიღრმის გამოვლენა და ერთიანი რუკის შედგენის ინიციირება;
- ვირტუალური, აღმოჩენილი და მოქმედი სასაფლაოების ურთიერთმიმართების ანალიზი;
- ნეკროპოლიური მეტალანდშაფტის კონცეპტუალური მოდელის ჩამოყალიბება;
- დაკრძალვითი სივრცეების როლის განსაზღვრა ტერიტორიის კულტურული უწყვეტობის კონტექსტში;
- საველე არქეოლოგიური კვლევების ახალი ახალი დიზაინის სამეცნიერო ცოდნით უზრუნველყოფა.

გონიო–აფსაროსის სამაროვანთა ლანდშაფტის კვლევა მნიშვნელოვნად სცილდება ცალკეული არქეოლოგიური ობიექტების აღწერას და ქმნის საფუძველს ტერიტორიის ზოგადი ისტორიული სურათის კომპლექსური რეკონსტრუქციისათვის. სამაროვნები წარმოადგენენ საკვანძო კროსლანდშაფტურ ელემენტს, რომელთანაც გადაიკვეთება ეთნოგენეტიკური, ჰაგიოგრაფიული, სამხედრო, ვიქტიმური და წარმართულ კულტთა ლანდშაფტები.[6] ამავე დროს, ჰიპოთეტური დაკრძალვითი სივრცეები ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენს, რადგან ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურული განვითარების პირობებში მათი შემთხვევითი ან მიზანმიმართული განადგურების რისკი განსაკუთრებით მაღალია.[7] ამ მიზეზით, წინამდებარე კვლევა ატარებს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრევენტიული არქეოლოგიისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის ხასიათსაც. ერთიანი ნეკროპოლიური ლანდშაფტის მოდელირება შესაძლებელს ხდის რისკზონების წინასწარ იდენტიფიცირებას, დაცვის პრიორიტეტების განსაზღვრას და

[6] N. Yu. Lomouri, “К выяснению некоторых сведений ‘Notitia Dignitatum’,” Византийский временник 46 (1975): 55–72.

[7] UNESCO, Preventive Conservation and Archaeological Heritage Management (Paris: UNESCO, 2010).

დაკრძალვითი სივრცეების როგორც სტრატეგიული კულტურული რესურსის გააზრებას.

## მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი ეფუძნება მეტაკოგნიტიური არქეოლოგიის მიდგომას, რომლის ფარგლებში არქეოლოგიური კვლევა განიხილება როგორც რეფლექსიური ცოდნის სისტემა. აღნიშნული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ არქეოლოგიურ მონაცემებზე, არამედ იმ კოგნიტიურ ოპერაციებზე, რომელთა მეშვეობითაც ხდება მონაცემთა შერჩევა, ინტერპრეტაცია და სტრუქტურირება. ამ ჩარჩოში არქეოლოგიური ლანდშაფტი აღიქმება როგორც სოციალური და კოგნიტიური პროცესების მატარებელი სივრცე, ხოლო კვლევა — როგორც მათი გააზრებული ანალიზი და მართვა. კვლევაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ისტორიოგრაფიულ მეთოდს, რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ ლიტერატურის მიმოხილვისთვის, არამედ როგორც მეტაკოგნიტიური დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი. ისტორიოგრაფიული ანალიზი ავლენს, როგორ ფორმირდებოდა ცოდნა გონიო–აფსაროსის შესახებ, რომელი თემები დომინირებდა კვლევით დისკურსში და რომელი რჩებოდა პერიფერიაზე. ადრეული ნარატიული და ანტიკვარული კვლევები ყურადღებას ამახვილებენ მითოლოგიურ და სიმბოლურ ფენებზე, მაშინ როდესაც კლასიკურ და გვიანანტიკურ წერილობით წყაროებზე დაფუძნებული ანალიზები ჰაგიოგრაფიულ და ადმინისტრაციულ კონტექსტს წარმოაჩენენ. მიუხედავად ამისა, დაკრძალვითი ლანდშაფტი ამ კვლევებში, როგორც წესი, ფრაგმენტულად არის გააზრებული. ამის მაგალითია ა.ნ.კრასნოვის ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც, აფსირტეს საფლავი შესაძლებელია იყოს გონიოდან სამხრეთით - მაკრიალების მიმართულებით.[8] ეს ფაქტი კითხვის ქვეშ აყენებს გონიოს და აფსაროსის ტოპონიმთა სრული მსგავსების და ჩანაცვლების საკითხს. ისტორიოგრაფიული ფრაგმენტაციის დასაძლევად კვლევაში გამოიყენება მეტალანდშაფტის კონცეფცია, რომელიც ნეკროპოლიურ, ეთნოგენეტიკურ, ჰაგიოგრაფიულ, სამხედრო და წარმართულ კულტთა ლანდშაფტებს აერთიანებს ერთ ზედასისტემურ ანალიტიკურ ჩარჩოში. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა დაკრძალვითი სივრცეები გააზრებულ იქნას არა იზოლირებულ ობიექტებად, არამედ ურთიერთდაკავშირებულ ისტორიულ დონეებად, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ და სემანტიკურ შრეებს აერთიანებენ.[9] კვლევის ემპირიული ბირთვი ეფუძნება სამაროვნებისა და ნეკროპოლების არქეოლოგიას. დაკრძალვითი პრაქტიკები განიხილება როგორც სოციალური და საკრალური ქცევის სისტემები, რომლებიც ასახავს როგორც კულტურულ უწყვეტობას, ისე სოციალურ და რელიგიურ

[8] Krasnov, A. N. *Southern Colchis: An Essay*. Petrograd: P. P. Soykin, 1915. 36 pp., 1 folded map; illustrated. (Knowledge for All: Popular Journal for Self-Education, 1915, no. 8)

[9] Christopher Tilley, A Phenomenology of Landscape: Places, Paths and Monuments (Oxford: Berg, 1994).

ტრანსფორმაციებს.[10] ამ კონტექსტში კვლევა ატარებს პრევენტიული არქეოლოგიის ხასიათს და მიზნად ისახავს ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურული განვითარების პირობებში ნეკროპოლიური ლანდშაფტის მიმართ არსებული რისკების იდენტიფიცირებას, განსაკუთრებული ყურადღებით ე.წ. „ვირტუალური ნეკროპოლისების“ მიმართ.[11] მეთოდოლოგია ასევე მოიცავს გამოყენებით კომპონენტს, რომელიც უკავშირდება სამუზეუმო პოლიტიკას, მემკვიდრეობის მართვასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას. ამ ჩარჩოში ნეკროპოლიური ლანდშაფტი განიხილება როგორც მეხსიერების ლანდშაფტების ფორმირების რესურსი, რომელსაც შეუძლია ისტორიული ნარატივების ინტერპრეტაციისა და საზოგადოებრივ სივრცეში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა.[12]

## შედეგები

- კვლევამ აჩვენა, რომ გონიო–აფსაროსის სივრცეში დაკრძალვითი პრაქტიკები არ წარმოადგენს იზოლირებულ ეპიზოდებს და მიუხედავად 2500 წლის მონაკვეთისა, დაკრძალვითი პრაქტიკა მეორდება ერთ სივრცეებშიც.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა ვირტუალური ნეკროპოლისები — სივრცეები, რომლებიც არქეოლოგიურად დაფიქსირებული არ არის, თუმცა დასტურდება ისტორიული წყაროებით, ჰაგიოგრაფიული ტრადიციითა და ტოპოგრაფიული ლოგიკით.
- ვირტუალური სივრცეები ზეგავლენას ახდენენ როგორც თანამედროვე აზროვნებაზე, ასევე მოქმედებებზე, რაც აისახება ტექსტურ და არქიტექტურულ ნარატივში.
- კვლევამ აჩვენა, რომ ნეკროპოლიური ლანდშაფტი შეიძლება წარმოადგენდეს მეტალანდშაფტის უმნიშვნელოვანეს კომპოზიტს, რომელიც სისტემურად უკავშირდება: ეთნოგენეტიკურ, ჰაგიოგრაფიულ, სამხედრო, ვიქტიმურ და წარმართულ კულტთა ლანდშაფტებს და თანამედროვე დაკრძალვის პრაქტიკას.
- პრევენტიული არქეოლოგიის შედეგები. დადასტურდა, რომ ყველაზე მოწყვლადია ვირტუალური და ნაწილობრივ ფიქსირებული დაკრძალვითი სივრცეები. მათი იდენტიფიკაცია ქმნის საფუძველს რისკზონების წინასწარი მონიშვნისთვის, რაც კრიტიკულია ურბანიზაციისა და ინფრასტრუქტურული განვითარების პირობებში.
- დღის წესრიგში დადგა გონიო-აფსაროსის საზღვრების დადგენის და სამაროვანთა ლანდშაფტის გეოგრაფიის განსაზღვრის საკითხი.

წარმოდგენილი შედეგები განიხილება როგორც ახალი კვლევითი კლასტერის პროვოცირების მექანიზმი. ნეკროპოლიური ლანდშფტის მოდელირება ქმნის

[10] Mike P. Pearson, The Archaeology of Death and Burial (Stroud: Sutton Publishing, 1999).
[11] UNESCO, Preventive Conservation and Archaeological Heritage Management (Paris: UNESCO, 2010).
[12] Sharon Macdonald, Memorylands: Heritage and Identity in Europe Today (London: Routledge, 2013).

საფუძველს შემდგომი სპეციალიზებული კვლევებისათვის — გეოფიზიკის, გეოგრაფიული მოდელირების, ბიოარქეოლოგიის, ეთნოგენეტიკის, ჰაგიოგრაფიული ტოპოგრაფიისა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის, მუზეუმოლოგიის და ა.შ. მიმართულებით.

## დისკუსია

ქვემოთ წარმოდგენილია რამოდენიმე შერჩეული ქეისი, რათა იყოს დანახული გონიო-აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტის ქრონოლოგიური უწყვეტობის ფაქტი.

### ქეისი I — აფსირტეს საფლავის ლოკალიზაციის პრობლემა: წერილობითი წყაროები, კონტრარგუმენტები და ვირტუალური ნეკროპოლისის მოდელი

აფსირტეს საფლავის ლოკალიზაციის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვან პრობლემას არგონავტების მითთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ დისკურსში. ანტიკური ავტორები დეტალურად აღწერენ აფსირტეს მკვლელობისა და დაკრძალვის სხვადასხვა ვერსიას, რაც აღნიშნულ საკითხს გარდაქმნის ლანდშაფტური, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური მოდელირების ამოცანად. ერთ-ერთ საინტერესო წყაროს წარმოდგენს აპოლონ რადოსელის „არგონავტიკა“.[13] მითოლოგიური ნარატივის მრავალვერსიულობა არ გამორიცხავს სივრცით ანალიზს; პირიქით, იგი ქმნის საფუძველს ჰიპოთეტური დაკრძალვითი ლანდშაფტების იდენტიფიცირებისა და შედარებისთვის. XIX საუკუნის ბოლოს კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევების ფარგლებში რუსმა გეოგრაფმა და ბოტანიკოსმა, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელმა ა.ნ.კრასნოვმა, თავის ნარკვევებში „სამხრეთ კოლხეთი“ დეტალურად აღწერა ეს სივრცე როგორც ინტენსიურად დასახლებული და კულტურულად დატვირთული ტერიტორია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სანაპიროსგან მოშორებულ შიდა ზონას, სადაც იგი აფიქსირებს ტაძრის ნანგრევებსა და ადგილობრივ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტაძარი აგებული იყო იმ ადგილზე, რომელიც მოსახლეობის მიერ აფსირტეს საფლავად ითვლებოდა.[14]კრასნოვის აღწერილობაში აფსირტეს საფლავი არ ფიგურირებს როგორც აბსტრაქტული მითოლოგიური მოტივი. იგი ჩასმულია კონკრეტულ ტოპოგრაფიულ კონტექსტში და დაკავშირებულია არქიტექტურულ ობიექტთან, რაც ავტორის მიერ ადგილზე ჩატარებულ დაკვირვებებს და ფოტოფიქსაციას ეფუძნება. ამავე მონაკვეთში კრასნოვი მიუთითებს სხვა ნაგებობებზეც, რომელთა არსებობა მიანიშნებს ტერიტორიის კომპლექსურ ფუნქციურ დატვირთვაზე.

[13] Apollonius Rhodius, Argonautica, bk. IV.

[14]Krasnov, A. N. *Southern Colchis: An Essay*. Petrograd: P. P. Soykin, 1915. 36 pp., 1 folded map; illustrated. (Knowledge for All: Popular Journal for Self-Education, 1915, no. 8)

აფსირტეს დაკრძალვის სხვა ალტერნატიული ლოკალიზაცია უკავშირდება, ოვიდიუსის მიხედვით, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს, კერძოდ ტომისს (თანამედროვე კონსტანცა, რუმინეთი).[15] თუმცა ამ მოსაზრებას არ ახლავს არც არქეოლოგიურად დადასტურებული საფლავი, არც ნეკროპოლიური ლანდშაფტი და არც უწყვეტი ლოკალური ტრადიცია, რომელიც აფსირტეს სახელთან იქნებოდა დაკავშირებული. ამდენად, ტომისის ვერსია უნდა განვიხილოთ როგორც ლიტერატურულ-კულტურული რეცეფციის შედეგი და არა როგორც სივრცობრივად დასაბუთებული არქეოლოგიური ჰიპოთეზა. აფსირტეს საფლავის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება არგონავტების ექსპედიციის ქრონოლოგიას, რომელიც პირობითად დათარიღებულია ძვ.წ. XIII საუკუნით. აღნიშნული ქრონოლოგია ეფუძნება არგონავტების ექსპედიციისა და ტროას ომის დროით ურთიერთმიმართებას ანტიკურ ტრადიციაში. ამგვარად, აფსირტეს საფლავი — რეალური ან ჰიპოთეტური — შეიძლება განვიხილოთ როგორც საწყისი მემორიალური ბირთვი, რომლის ირგვლივ შემდგომ საუკუნეებში ყალიბდება დაკრძალვითი, რიტუალური და სიმბოლური სივრცეების მრავალფენოვანი სისტემა. ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მომავალში გამოვლინდეს უფრო ადრეული, წინამითოლოგიური სამაროვნებიც, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ნეკროპოლიური ლანდშაფტის ქრონოლოგიურ სპექტრს. არაა გამორიცხული, რომ წმინდანთა ნაწილების გადანაწილების კულტურა მოდიოდეს პრექრისტიანული კულტურებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ აფსირტეს დანაწევრებული სხეულის ნაწილები იყო დაკრძალული იმ სრულიად სხვადასხვა წერტილებში, სადაც ვრცელდებოდა მისი მამის - კოლხეთის ლეგენდარული მეფე აიეტის ძალაუფლების საზღვრები.

## ქეისი II — ძვ. წ. V საუკუნის სამარხი გონიო–აფსაროსის სამხრეთ კარიბჭესთან: არქეოლოგიური მტკიცებულება და ნეკროპოლიური ლანდშაფტის ქრონოლოგიური უწყვეტობა

გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტის კვლევაში მეორე ქეისი ეფუძნება კონკრეტულ არქეოლოგიურ აღმოჩენას — ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ სამარხს, რომელიც გამოვლინდა ციხის სამხრეთ კარიბჭის გარეთ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. აღნიშნული სამარხი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მყარ მატერიალურ მტკიცებულებას გონიო–აფსაროსის ტერიტორიის ადრეული დაკრძალვითი პრაქტიკების არსებობის დასადასტურებლად და ქმნის ნეიტრალურ ქრონოლოგიურ საყრდენს ნეკროპოლიური ლანდშაფტის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ანალიზისთვის. გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამარხი შეიცავდა დაკრძალვით ინვენტარსა და დასტის ნიშნებს, რომლებიც მკაფიოდ შეესაბამება ძვ. წ. V საუკუნის funerary context-ს. კერძოდ,

[15] Ovid. Tristia; Epistulae ex Ponto. Translated by A. L. Wheeler. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press.

გამოვლინდა კერამიკული ჭურჭელი, პირადი სამკაულები და სხვა მატერიალური ელემენტები, რომლებიც ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად თანხვედრაშია კოლხური კულტურის კლასიკური ხანის დაკრძალვით პრაქტიკებთან. არტეფაქტების ერთობლიობა მიუთითებს ლოკალურად ჩამოყალიბებულ დაკრძალვის ფორმებზე და გამორიცხავს შემთხვევით ან ეპიზოდურ დაკრძალვას.[16] აღნიშნული აღმოჩენა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ კრიტერიუმს ნეკროპოლიური ლანდშაფტის ქრონოლოგიური უწყვეტობის განსაზღვრისთვის. იგი ადგენს სისტემურ ქრონოლოგიურ ნიშნულს, რომლის მიხედვითაც გონიო–აფსაროსის ტერიტორიაზე დაკრძალვითი პრაქტიკა ფუნქციონირებდა მინიმუმ ძვ. წ. V საუკუნიდან. ამგვარად, ნეკროპოლიური სივრცე აღარ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ ანტიკური ან გვიანდელი პერიოდის ფენომენი, არამედ როგორც გრძელვადიანი, ეტაპობრივად განვითარებადი სოციალური და საკრალური სისტემა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ არქეოლოგიური ფაქტის დაკავშირებას აფსირტეს ვირტუალური ნეკროპოლისის მოდელთან. აღნიშნული კავშირი არ გულისხმობს მითოლოგიური ნარატივის პირდაპირ არქეოლოგიურ დადასტურებას, არამედ ქმნის ინტერპრეტაციულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტი შეიძლება გააზრებულ იქნას როგორც მრავალი ეპოქის მატერიალური და არამატერიალური შრეების ერთიანი სისტემა. ამ სისტემაში არქეოლოგიურად დადასტურებული სამარხები, კულტურული მეხსიერება, ლეგენდარული ნარატივები და სივრცითი გამოცდილება ურთიერთდაკავშირებულ მნიშვნელობებს იძენენ. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა ძვ. წ. V საუკუნის სამარხი განვიხილოთ არა როგორც იზოლირებული არქეოლოგიური ფაქტი, არამედ როგორც ნეკროპოლიური ლანდშაფტის ქრონოლოგიური და კონცეპტუალური ბირთვი, რომელიც აერთიანებს როგორც დადასტურებულ არქეოლოგიურ მონაცემებს, ისე ჰიპოთეტურ და ვირტუალურ დაკრძალვით სივრცეებს. შედეგად, გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტი წარმოჩნდება როგორც კულტურული უწყვეტობის მქონე დინამიკური სისტემა, რომლის კვლევა აუცილებელია როგორც ისტორიული რეკონსტრუქციისთვის, ისე პრევენტიული არქეოლოგიისა და მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის შემუშავებისთვის.

## ქეისი III — რომაელ ჯარისკაცთა და ვეტერანთა საფლავების აღმოჩენის პრობლემა გონიო–აფსაროსში

გონიო–აფსაროსის არქეოლოგიურ-ისტორიული სტატუსი, როგორც რომაული სამხედრო ცენტრისა (ახ. წ. I–III სს.), დადასტურებულია როგორც წერილობითი წყაროებით, ისე არქეოლოგიური მასალით. მიუხედავად ამისა, დღემდე ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად რჩება რომაელ ჯარისკაცთა და ვეტერანთა სამაროვნების არქეოლოგიური იდენტიფიკაცია. აღნიშნული პრობლემა

[16] A. Kakhidze, Sh. Mamuladze, and T. Ebralidze, “Recent Archaeological Finds in Gonio-Apsaros,” in Pont Euxin et commerce: La genèse de la Route de la Soie (Proceedings of the IXth Vani Symposium, Colchis, 1999) (Tbilisi, 2002), 251–262.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც აფსაროსს განვიხილავთ არა მხოლოდ როგორც პარამბოლეს (castrum), არამედ როგორც ქალაქურ-გარნიზონულ ცენტრს. რომაული სამხედრო პრაქტიკის მიხედვით, გარდაცვლილ ჯარისკაცებს და/ან ვეტერანებს, როგორც წესი, კრძალავდნენ ქალაქის ან ბანაკის პერიმეტრის გარეთ. თუმცა პროვინციულ სივრცეებში ეს ნორმა ხშირად განიცდიდა მოდიფიკაციას ადგილობრივი ტრადიციების გავლენით, რის გამოც დაკრძალვითი ლანდშაფტს შეეძლო მიეღო სინკრეტული ხასიათი.[17] ტრაპეზუნტში, სატალაში, სებასტიასა და შავიზღვისპირეთის სხვა სამხედრო პუნქტებში დაფიქსირებული რომაული საფლავები ხშირად წარმოდგენილია: ინდივიდუალური მინიმალური ინვენტარით; კრემაციის ნაშთებით (ურნები, მცირე ძვლოვანი ფრაგმენტები); საფლავებით, რომლებიც არ შეიცავს სტელებს ან ლათინურ წარწერებს.[18] ამგვარი დაკრძალვები არქეოლოგიურად რთულად დასაფიქსირებელია, განსაკუთრებით ისეთ ტერიტორიებზე, სადაც შემდგომი ეპოქების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ინტენსიურ ლანდშაფტურ ტრანსფორმაციებს, მდინარეთა კალაპოტების ცვლილებასა და ურბანიზაციას. აღნიშნული სურათი სრულად თავსებადია გონიო–აფსაროსის ტერიტორიის თვისობრივ მონაცემებთან და არ წარმოადგენს რეგიონული პრაქტიკიდან გადახვევას. რომაული სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთ დამახასიათებელ მახასიათებელს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია არმიის შემადგენლობაში, განსაკუთრებით გვიანანტიკურ პერიოდში. აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ეს პროცესი გულისხმობდა ადგილობრივი ტომების, მათ შორის ლაზების, ჩართვას დამხმარე ან რეგულარულ სამხედრო ნაწილებში.[19] ამ გარემოებიდან გამომდინარე, დასაშვებია ვარაუდი, რომ რომაელ ჯარისკაცთა გარკვეული ნაწილი ეთნიკურად ადგილობრივი იყო და შესაბამისად იკრძალებოდა ლოკალური დაკრძალვითი წესების მიხედვით. ამ შემთხვევაში მათი საფლავები არქეოლოგიურად არ განსხვავდება კოლხური ან ელინისტური სამარხებისგან და ვერ იძლევა ცალსახად რომაულ იდენტიფიკაციას. თუმცა ეს ფაქტორი პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის. ეთნიკური ასიმილაცია და ლოკალური წესით დაკრძალვა შეიძლება შეეხებოდეს სამხედრო კონტინგენტის ერთ ნაწილს, მაგრამ ვერ გამორიცხავს იმპერიული წარმომავლობის მქონე სამხედრო პერსონალის არსებობას. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გვიანრომაულ ადმინისტრაციულ წყაროში — **Notitia Dignitatum** — აფსაროსი მოხსენიებულია როგორც სამხედრო პუნქტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აქ გარნიზონის არსებობას.[20] მიუხედავად ამისა, არც ამ წყაროში და არც სხვა ანტიკურ ავტორებთან არ გვხვდება პირდაპირი მინიშნება ამ ტერიტორიაზე არსებულ კონკრეტულ საფლავებზე. ანტიკური ქალაქის სივრცითი სტრუქტურა ეფუძნება მკაფიო ფუნქციურ დიფერენციაციას პოლისს, აკროპოლისსა და ნეკროპოლისს შორის. პოლისი

[17] Toynbee J. M. C., Death and Burial in the Roman World, London, 1971.

[18] Hope V., Roman Death: The Dying and the Dead in Ancient Rome, London–New York, 2009.

[19] Braund D., Georgia in Antiquity: A History of Colchis and Transcaucasian Iberia, Oxford, 1994.

[20] Lomouri N. Yu., К выяснению некоторых сведений «Notitia Dignitatum», *Византийский временник* 46 (1975): 55–72.

წარმოადგენს სამოქალაქო ცხოვრებისა და საცხოვრებელი ფუნქციის სივრცეს, აკროპოლისი — სამხედრო-საკრალურ და ადმინისტრაციულ ბირთვს, ხოლო ნეკროპოლისი — გარდაცვლილთა ქალაქს, რომელიც სისტემურად განთავსებულია დასახლების გარეთ. პროფესიული სამხედრო კონტინგენტი სიცოცხლეში კონცენტრირებულია აკროპოლისსა და ციხე-სიმაგრეებში, თუმცა დაკრძალვითი პრაქტიკა, მათ შორის ლეგიონერთა და მოწამეთა შემთხვევაში, ექვემდებარება *extra muros* პრინციპს.

## ქეისი IV — წმინდა მათათას საფლავი გონიო–აფსაროსში: წყაროთა საფუძველი, ქრონოლოგია და ლოკალიზაციის კონტრვერსიები

წმინდა მათათას (Matthias / Ματθίας) დაკრძალვის ადგილის საკითხი გონიო–აფსაროსის კონტექსტში ეფუძნება არა არქეოლოგიურ აღმოჩენებს, არამედ გვიანდელი წერილობითი და ეკლესიური ტრადიციის კომპლექსს, რომლის მეცნიერული სანდოობა და ქრონოლოგიური სიზუსტე დღემდე რჩება დისკუსიის საგნად. წმინდა მათათას გონიოში დაკრძალვის თეზა ეფუძნება სამი ტიპის წყაროს:

1. **ეკლესიური გადმოცემა და ადგილობრივი ტრადიცია**, რომელიც ფიქსირდება შუასაუკუნეებიდან და აქტიურად რეცეპირდება ახალ დროში;
2. **ჰაგიოგრაფიული ტექსტების გვიანდელი რედაქციები**, სადაც მითითებულია, რომ მათათა ქადაგებდა „კოლხეთსა“ და „შავი ზღვისპირეთში“;
3. **ლოკალური ტოპოგრაფიული იდენტიფიკაცია**, რომლის მიხედვითაც გონიო–აფსაროსი გაიგივდა მოციქულის წამებისა და დაკრძალვის სივრცესთან.[21]

ჰაგიოგრაფიული ტრადიციის მიხედვით, წმინდა მათათა გარდაცვალება თარიღდება ყველაზე ხშირად ახ. წ. 80–90-იანი წლების ფარგლებში.[22]ეს ქრონოლოგია კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან იგი ემთხვევა - ქრისტიანთა პერიოდული დევნის ადრეულ ფაზებს და გონიო–აფსაროსის, როგორც რომაული სამხედრო პუნქტის, ჩამოყალიბების პროცესს.

ანტიკურ და ადრექრისტიანულ პრაქტიკაში ციხე-სიმაგრეები არ განიხილებოდა დაკრძალვის ზონებად, განსაკუთრებით წარმართულ ეპოქაში. დაკრძალვები ხორციელდებოდა: ქალაქის ან ბანაკის გარეთ; გზების გასწვრივ; სპეციალურად გამოყოფილ ნეკროპოლიურ ლანდშაფტებში.[23] ქრისტიანთა დევნის პირობებში წამებულთა დაკრძალვა, მით უმეტეს, უნდა ყოფილიყო პერიფერიულ და ნაკლებად კონტროლირებად სივრცეებში. ამ თვალსაზრისით, წმინდა მათათას საფლავის ციხის

[21] Eusebius of Caesarea. Historia Ecclesiastica. Translated by K. Lake. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press.

[22] Butler A., Lives of the Saints, vol. I, London, 1866.

[23] Toynbee J. M. C., Death and Burial in the Roman World, London, 1971.

შიგნით განთავსება უფრო შეესაბამება გვიანდელ ლიტურგიულ რეცენტრაციას, ვიდრე თავდაპირველ რეალობას. ამავე დროს არაა გამორიცხული, რომ ციხის ტერიტორიაზე ყოფილიყო ქრისტიანების მიერ (პოსტ-წარმართულ პერიოდში) აშენებული სალოცავი, რომელშიც იყო განთავსებული წმინდა ნაწილები. კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ტრადიციის მიხედვით, წმინდა მათათას წმინდა ნაწილების ძირითადი კომპლექსი ინახება ტრირში (გერმანია), ხოლო ფრაგმენტული რელიქვიები — რომში, Basilica di Santa Maria Maggiore-ში. აღნიშნული ფაქტი არ გამორიცხავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, მათ შორის გონიო–აფსაროსის, როგორც წმინდანის წამების ან პირველადი დაკრძალვის სივრცის არსებობას, რაც შემდგომში წმინდა ნაწილების ტრანსლაციით უნდა აიხსნას.

## ქეისი V — ფირმოსი და ფირმინე: ქრისტიანი რომაელი ჯარისკაცების წამება გონიო–აფსაროსში და სამხედრო ნეკროპოლისის პრობლემა

იმპერატორ დიოკლეტიანეს (284–305) თანამართველობის ეპოქაში, წმინდა ფირმოსისა და ფირმინეს წამება უკავშირდება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე რომის იმპერიის სასაზღვრო სამხედრო ინფრასტრუქტურას - აფსაროსის ციხე-სიმაგრეს.[24] სხვადასხვა წყაროში ფიგურირებს წამების სხვადასხვა მონაცემები 301–312 წლების დიაპაზონში.[25] ისინი განეკუთვნებიან იმ ქრისტიან რომაელი ჯარისკაცების კატეგორიას რომელნიც გახდნენ ამ „დიდი დევნის“ მსხვერპლნი.[26] კონკრეტულად ისინი მიეკუთვნებიან შვიდ წამებულ ლაზ ძმას. ამ კონტექსტში აფსაროსის ციხე შეიძლება განიხილებოდეს როგორც წამების ადგილი, მაგრამ არა როგორც დაკრძალვის ადგილი.[27] როგორც ქრისტიანნი, ისინი ვერ დაიკრძალებოდნენ ოფიციალური რომაული სამხედრო წესის მიხედვით. როგორც მოწამეების, მათი დაკრძალვა, დიდი ალბათობით, ხდებოდა არაფორმალურად — გარნიზონის გარეთ, ნახევრადსაიდუმლო ან ადგილობრივი ქრისტიანული წესით.[28] როგორც წმინდა მათათას შემთხვევაში, აქაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ მათი წმინდა ნაწილები შესაძლებელია აღმოჩენილიყო მოგვიანებით ციხის ტერიტორიაზე შექმნილ სალოცავში ან წმინდა ნიშში. ამ გარემოებების ერთობლიობა ცხადყოფს, რომ ფირმოსისა და ფირმინეს საფლავების ძიება ციხე-სიმაგრის შიდა პერიმეტრში მეთოდოლოგიურად ნაკლებად სავარაუდოა.[29] გვიანანტიკურ პერიოდში არ არის გამორიცხული, რომ რომაული გარნიზონების ნაწილი დაკომპლექტებული ყოფილიყო ადგილობრივი ლაზური წარმოშობის სამხედროებით.[30] ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია ისინი ყოფილიყვნენ დაკრძალულნი ადგილობრივი ლაზების

[24] Acta Sanctorum, Martyrum Orientis, vol. IV.
[25] Barnes, T. D., Constantine and Eusebius, Harvard University Press, 1981, p. 22–35.
[26] Delehaye, H., Les passions des martyrs et les genres littéraires, Brussels, 1921, p. 94–101.
[27] Procopius of Caesarea. De Aedificiis. Translated by H. B. Dewing.
Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press.
[28] Toynbee, J. M. C., Death and Burial in the Roman World, London, 1971, p. 55–72.
[29] Morris, I., Death-Ritual and Social Structure in Classical Antiquity, Cambridge, 1992.
[30] Heather, P., The Fall of the Roman Empire, Oxford, 2005, p. 145–149.

წესჩვეულებების მიხედვით. ფირმოსისა და ფირმინეს ქეისი ადასტურებს, რომ გონიო–აფსაროსი იყო ქრისტიანი სამხედროების დევნის რეალური სივრცე.

## ქეისი VI. ნეკროპოლიური ლანდშაფტი, როგორც ეთნოგენეტიკური კვლევის ძირითადი არქეოლოგიური ინსტრუმენტი (მეთოდოლოგიური ჩარჩო)

გონიო–აფსაროსის მაგალითი ცხადყოფს, რომ ნეკროპოლიური ლანდშაფტის ანალიზი წარმოადგენს ეთნოგენეტიკური ლანდშაფტის დადგენის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან არქეოლოგიურ ინსტრუმენტს, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ისტორიულად პოლიეთნიკური, მობილური და კონფესიურად ცვალებადი იყო.[31] ამ კონტექსტში ნეკროპოლისი არ იკითხება მხოლოდ როგორც დაკრძალვის სივრცე, არამედ როგორც გრძელვადიანი იდენტობითი და კულტურული პროცესების მატარებელი ლანდშაფტი. მეთოდოლოგიურად გადამწყვეტია დაკრძალვითი პრაქტიკის კონსერვატიული ხასიათი. დაკრძალვის რიტუალები, როგორც წესი, უფრო სტაბილურია, ვიდრე საცხოვრებელი არქიტექტურა ან ყოველდღიური მატერიალური კულტურა, რის გამოც ეთნიკური, რელიგიური და სოციალური იდენტობის ნიშნები ხშირად სწორედ ნეკროპოლიურ კონტექსტებში ინახება ყველაზე ხანგრძლივად.[32] შედეგად, ნეკროპოლიური ლანდშაფტი ინარჩუნებს იმ ინფორმაციას, რომელიც სხვა არქეოლოგიურ სივრცეებში შეიძლება უკვე წაშლილი იყოს. ეთნოგენეზისი აქ განიხილება არა როგორც ერთჯერადი - ცალკეულ ჯგუფთან დაკავშირებული მოვლენა, არამედ როგორც სივრცით-ქრონოლოგიური პროცესების კომპოზიცია. იგი იშვიათად იკითხება ერთეულ სამარხებში და ვლინდება დაკრძალვითი პრაქტიკის სისტემურ ორგანიზაციაში — მათი უწყვეტობის, ტრანსფორმაციისა და თანაარსებობის გზით.[33] პოლიეთნიკურ და მობილურ სივრცეებში ნეკროპოლიური ობიექტების ფიქსაცია უნდა წარმოადგენს მონაცემს, რომელიც ასახავს კონკრეტული სოციალური ჯგუფების არსებობას (მაგ., ჰენიოხები, ძიდრიტები და ა.შ.), ადგილობრივ და იმპერიულ დაკრძალვით პრაქტიკათა ინტეგრაციას (ლაზური და რომაული კონტექსტები), რელიგიურ ტრანსფორმაციებს ქრისტიანობის გავრცელების პროცესში და მოგვიანებით ურბანიზაციით გამოწვეულ ნგრევას.[34] გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტი აერთიანებს სამ ურთიერთდაკავშირებულ დონეს: არქეოლოგიურად ფიქსირებულ სამარხებს; წერილობით წყაროებში მოხსენიებულ, მაგრამ დღეს დაკარგულ ობიექტებს; და ე.წ. ვირტუალურ ნეკროპოლისებს, რომლებიც განადგურდა ბუნებრივი და ანთროპოგენური ტრანსფორმაციების შედეგად. ამ დონეებს შორის ურთიერთქმედების ანალიზი ქმნის ეთნოგენეტიკური ლანდშაფტის რეკონსტრუქციის რეალურ შესაძლებლობას. ამრიგად, ნეკროპოლიური ლანდშაფტის

[31] Ian Morris, Death-Ritual and Social Structure in Classical Antiquity (Cambridge: Cambridge University Press, 1992).
[32]Mike Parker Pearson, The Archaeology of Death and Burial (Stroud: Sutton Publishing, 1999).
[33] Siân Jones, The Archaeology of Ethnicity (London–New York: Routledge, 1997).
[34] John Chapman, Fragmentation in Archaeology (London: Routledge, 2000).

კვლევა გონიო–აფსაროსის მაგალითზე სცილდება დაკრძალვის ისტორიის აღწერას და ყალიბდება როგორც ეთნოგენეზისის კვლევის ინტეგრირებული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი. იგი აერთიანებს არქეოლოგიურ, ისტორიოგრაფიულ და ლანდშაფტურ ანალიზს მეტაკოგნიტიური ჩარჩოს ფარგლებში და ნეკროპოლიურ სივრცეს განიხილავს როგორც დინამიკურ ეთნოგენეტიკურ მატრიცას, რომელიც ასახავს მოსახლეობის გრძელვადიან ფორმირებას, ტრანსფორმაციასა და კულტურულ უწყვეტობას.[35]

## ქეისი VII. გონიოს სასაფლაო - ნეკროპოლიური ლანდშაფტის კონტექსტში

გონიოს სასაფლაო მდებარეობს გონიო–აფსაროსის ციხის სამხრეთით - კვარიათის მიმართულებით და დღეს ფუნქციონირებს როგორც მოქმედი, თანამედროვე დაკრძალვითი სივრცე. მიუხედავად მისი თანამედროვე გამოყენებისა, სასაფლაოს ლოკაცია შემთხვევითი არ არის და უნდა განიხილებოდეს გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტის ფართო ისტორიულ კონტექსტში. როგორც არქეოლოგიური მონაცემები და ლანდშაფტური ლოგიკა აჩვენებს, დაკრძალვითი სივრცეები ამ რეგიონში ციხის არქიტექტურულ პერიმეტრს სცილდებოდა. დღევანდელი კვლევითი სურათი გვაძლევს ორ მკაფიო ქრონოლოგიურ ნიშნულს. ერთი მხრივ, გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიურ არეალში ფიქსირდება ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებული დაკრძალვები; მეორე მხრივ, მანდვე ფუნქციონირებს XXI საუკუნის სასაფლაო. ამ ორ უკიდურეს ქრონოლოგიურ წერტილს შორის არსებული დროითი მონაკვეთი — დაახლოებით 2500 წელი — არქეოლოგიურად არასრულად არის შესწავლილი. სწორედ ამ ქრონოლოგიური სიცარიელის შევსება წარმოადგენს მომავალი კვლევების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას. გონიოს სასაფლაოს სპეციფიკა განპირობებულია იმით, რომ კლასიკური, ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები აქ შეზღუდულია სოციალური, ეთიკური და სამართლებრივი ფაქტორების გამო. თუმცა ეს გარემოება არ გამორიცხავს კვლევას. პირიქით, სწორად დასმული ამოცანის შემთხვევაში, პრობლემური ზონა გარდაიქმნება ინტენსიური და ეტაპობრივი კვლევის ობიექტად. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არაინვაზიურ მეთოდებს, პირველ რიგში გეოფიზიკურ კვლევებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის მიწის ქვეშ არსებული სამარხების, სტრუქტურებისა და სხვადასხვა ქრონოლოგიური ფაზის გამოვლენას გათხრების გარეშე. მიღებული მონაცემები ქმნის საფუძველს მხოლოდ მიზნობრივი და მინიმალური არქეოლოგიური ჩარევის დაგეგმვისათვის იქ, სადაც ეს დასაშვები და აუცილებელი იქნება. ამგვარი კვლევითი მიდგომის მიზანია ნეკროპოლიური ლანდშაფტის ქრონოლოგიური უწყვეტობის დადგენა ანტიკური პერიოდიდან თანამედროვე ეპოქამდე და დაკრძალვითი პრაქტიკის ცვლილებებისა თუ სტაბილურობის გააზრება. გრძელდება. სწორედ ეს უწყვეტობა, მოქმედი ფუნქცია და სივრცითი სტაბილურობა

[35] Ian Hodder, Entangled: An Archaeology of the Relationships between Humans and Things (Oxford: Wiley-Blackwell, 2012).

ქმნის საფუძველს გონიოს სასაფლაოს საერთაშორისო კონტექსტში გააზრებისთვის. აღნიშნული ქეისი სრულად შეესაბამება იუნესკოს კულტურული ლანდშაფტის კონცეფციას, სადაც ფასდება არა მხოლოდ არქეოლოგიური ფენების სიძველე, არამედ ადამიანის და სივრცის ხანგრძლივი ურთიერთობა და ცოცხალი კულტურული პრაქტიკა. ამგვარად, გონიოს სასაფლაოს ოპტიმალური პოზიციონირება მიზანშეწონილია ერთდროულად როგორც დამოუკიდებელი ისტორიული ძეგლისა, და ამავე დროს როგორც გონიო–აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტის შემადგენელი ნაწილისა, რაც ქმნის საფუძველს მისი დაცვის, კვლევისა და საერთაშორისო მემკვიდრეობით ჩარჩოებში ინტეგრაციისათვის.

## დასკვნა

გონიო-აფსაროსის ნეკროპოლიური ლანდშაფტი გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად ცალკე სივრცეს ქმნის, რომელიც ციხესა და პოლისს უკავშირდება, მაგრამ მათ არ ემთხვევა. სწორედ ეს ლანდშაფტი გვაძლევს ყველაზე სანდო მონაცემებს მოსახლეობის შემადგენლობის, კულტურული კონტაქტებისა და ცვლილებების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა დასახლების სტრუქტურა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. შესაბამისად, გონიო–აფსაროსი უნდა განიხილებოდეს როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული სივრცეების ერთიანი სისტემა, ხოლო ნეკროპოლიური ლანდშაფტის გამიჯვნა და გათვალისწინება აუცილებელია როგორც კვლევისთვის, ისე მემკვიდრეობის დაცვისა და მომავალი დაგეგმარებისთვის. განსაკუთრებით საინტერესოდ იშლება ახალი სამუზეუმო სივრცეების პერსპექტივა.

## Bibliography


- Apollonius Rhodius. *Argonautica*. Translated by R. C. Seaton. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Assmann, Jan. *Cultural Memory and Early Civilization: Writing, Remembrance, and Political Imagination*. Cambridge: Cambridge University Press, 2011.
- Barnes, Timothy D. *Constantine and Eusebius*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1981.
- Braund, David. *Georgia in Antiquity: A History of Colchis and Transcaucasian Iberia*. Oxford: Oxford University Press, 1994.
- Butler, Alban. *Lives of the Saints*. Vol. I. London, 1866.
- Chapman, John. *Fragmentation in Archaeology*. London: Routledge, 2000.
- Connerton, Paul. *How Societies Remember*. Cambridge: Cambridge University Press, 1989.
- Delehaye, Hippolyte. *Les passions des martyrs et les genres littéraires*. Brussels, 1921.
- Heather, Peter. *The Fall of the Roman Empire*. Oxford: Oxford University Press, 2005.

- Hodder, Ian. *Entangled: An Archaeology of the Relationships between Humans and Things*. Oxford: Wiley-Blackwell, 2012.
- Hope, Valerie. *Roman Death: The Dying and the Dead in Ancient Rome*. London–New York: Routledge, 2009.
- Jones, Siân. *The Archaeology of Ethnicity*. London–New York: Routledge, 1997.
- Kakhidze, A., Sh. Mamuladze, and T. Ebralidze. "Recent Archaeological Finds in Gonio-Apsaros." In *Pont Euxin et commerce: La genèse de la Route de la Soie* (Proceedings of the IXth Vani Symposium, Colchis, 1999), 251–262. Tbilisi, 2002.
- Krasnov, A. N. *Southern Colchis: An Essay*. Petrograd: P. P. Soykin, 1915. 36 pp., 1 folded map; illustrated. (Knowledge for All: Popular Journal for Self-Education, 1915, no. 8)
- Lomouri, Nodar Yu. "K vyiasneniiu nekotorykh svedenii 'Notitia Dignitatum'." *Vizantiiskii vremennik* 46 (1975): 55–72.
- Macdonald, Sharon. *Memorylands: Heritage and Identity in Europe Today*. London: Routledge, 2013.
- Morris, Ian. *Death-Ritual and Social Structure in Classical Antiquity*. Cambridge: Cambridge University Press, 1992.
- Ovid. *Tristia; Epistulae ex Ponto*. Translated by A. L. Wheeler. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Parker Pearson, Mike. *The Archaeology of Death and Burial*. Stroud: Sutton Publishing, 1999.
- Procopius of Caesarea. De Aedificiis. Translated by H. B. Dewing. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Rusetsky Alexander, "Gonio–Apsaros Necropolian Landscape: Conceptual Framework," *Pro Georgia: Journal of Kartvelological Studies* 35 (2025).
- Toynbee, Jocelyn M. C. *Death and Burial in the Roman World*. London: Thames & Hudson, 1971.
- UNESCO. *Preventive Conservation and Archaeological Heritage Management*. Paris: UNESCO, 2010.
- Eusebius of Caesarea. Historia Ecclesiastica. Translated by K. Lake. Loeb Classical Library. Cambridge, MA: Harvard University Press.